შპს ტელერადიოკომპანია „ოდიში“-ს, ზონაში მოქმედი ადგილობრივი საეთერო ტელემაუწყებლობის თავისუფალ რესურსებთან დაშვებვის შეთავაზების წინადადება.

(მოწვევის ოფერტა)

წინამდებარე ოფერტით განსაზღვრულია ზუგდიდის ზონაში მოქმედი ადგილობრივი საეთერო ტელემაუწყებლების თავისუფალ რესურსთან დაშვების მომსახურების შეთავაზების პირობები,რომელიც ვრცელდება „ოფერტის"თავისუფალ რესურსთან დაშვების მსურველ ყველა ავტორიზებულ პირზე(შემდგომში აქცეპტანტი).

ზუგდიდის ზონაში მოქმეი ადგილობრივი საეთერო ტელემაუწყებლების „ოფერტის" თავისუფალ რესურსთან დაშვების მომსახურება ხორციელდება შემდგომი პირობებით:

1.1 მომსახურება იწარმოება DVBT2 (EN302755) სტანდარტით და მონაცემთა შემჭიდროვების MPEG4(H-264-ISO/IEC 14496) ტექნოლოგიით, ამასთან ქსელში DVB-T2(COFDM:8k, 64-QAM, Coding rate:2/3, Guarding interval: 1/8) პარამეტრებით ინფორმაციის გავრცელების სიჩქარე უნდა იყოს 22.118 მგბტ/წმ. ხოლო SD არხის გავრცელების სიჩქარე არა ნაკლებ 2,15 მგბტ/წმ-ისა.

1.2 ოფერტის კუთვნილ ქსელთან სიგნალის მიწოდებისა და ამ უკანასკნელის მხრიდან მომსახურების გაწევის მისამართია: ქ. ზუგდიდი,გამსახურდიას გამზ. #19.

1.3 აქცეპტანტი ვალდებულია საკუთარი ხარჯითა და რისკით უზრუნველყოს ციფრული ტრაქტების მიყვანა წინამდებარე ოფერტის 1.2 პუნქტით გათვალისწინებულ მისამართამდე.

1.4 ოფერტის მიერ შეერთების განხორციელებისას გამოყენებული ინტერფეისის აყწერილობაა: ციფრული ინტერფეისი (HDMI) სტანდარტული გარჩევადობის ვიდეო სიგნალი, ფერების კოდირების PAL სისტემით და თანმდევი აუდიოსიგნალით.

2. „ოფერტის" კუთვნილ ქსელთან დაშვების მომსახურების მიწოდების ტარიფები:

2.1 ზუგდიდის ზონაში ღია ეთერით 1 მგბ/წმ-ით გავრცელებისთვის ხზრჯზე ორიენტირებული გადასახადი შეადგენს თვეში 242(ორასორმოცდაორი) ლარს გადასახადების გარეშე, დანახარჯი 1 SD თვეში 520 (ხუთასოცი) ლარს გადასახადების გარეშე, დანახარჯი 1 HD თვეში 1934 (ერთიათასცხრაასოცდათოთხმეტი) ლარს, გადასახადების გარეშე.

3."ოფერტის"კუთვნილ ქსელთან ჩართვის განხორციელების პირობები და პროცედურები:

3.1 „აქცეპტანტი" ვალდებულია წარმოადგინოს:

ა) ავტორიზაციის დამადასტურებელი დოკუმენტაცია

ბ) ამონაწერი საწარმოო რეესტრიდან

გ)უფლებამოსილი პირის პირადობის მოწმობის ასლი

დ) წინსწრებით გადაიხადოს პირველი თვის თანხა

4. ოფერტის მოქმედების ვადა:

4.1 წინამდებარე ოფერტა ძალაში შედის 2021 წლის 30 სექტემბრიდან და მოქმედებს 2022 წლის 31 დეკემბრამდე.

ტელერადიოკომპანია „ოდიში"-ს
გენერალური დირექტორი

დავით გრიგოლია